გაზეთი "ზე ჯორჯიამ მეილი-ს" და „ზე ტრანსკავკაზიან პოსტი-ს" სადაზვერვო ზეგავლენა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სამხედრო უსაფრთხოებაზე

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.03

ბაქარ გრძელიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის,
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.
bakari.grdzelishvili@ciu.edu.ge
ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0006-7266-9557

დავით კუხალაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
davit.kukhalashvili2390@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0006-8249-296X

აბსტრაქტი

პრესა, „რბილი" ძალის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. სამიზნე ქვეყნის, ორგანიზაციის, პირის მიმართ მის გამოყენებას მზვერავი სახელმწიფოებიც აქტიურად ახორციელებენ. შესაბამისად, პრესა სამიზნე ქვეყნის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების შესწავლის საგანს წარმოადგენს. პრესის მეშვეობით, ინფორმაციის მოპოვების გარდა, შესაძლებელია სადაზვერვო პროპაგანდის და ამავე მიმართულების დეზინფორმაციის წარმოება, რაც სამიზნე ობიექტის დემორალიზაციის, კომპრომეტაციის დეზინფორმაციის შესაძლებლობებს იძლევა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში გამომავალი ბეჭდური პრესა შეიცავს სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობის ნიშნებს, რასაც, როგორც იდენტიფიცირებულ საფრთხეს, ყველა სახელმწიფო სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ნიშნების შემცველ ქმედებებს უპირისპირებდა. ქვეყნის შიგნით გაზეთის დახურვა და ცენზურის დაწესება ხდებოდა, ხოლო ქვეყნის გარეთ -საკუთარი ინტერესის შესაბამისი პროპაგანდის წარმოება პრესის მეშვეობით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემთხვევაში საქმე გვაქვს მთავრობის მიერ ცენზურის პრაქტიკულად გამოუყენებლობასთან. ყოველივე იმ ფონზე ხდებოდა, როდესაც საქართველო ადმინისტრაციულად მთელ თავის

ტერიტორიას (აჭარა, მესხეთი) ვერ აკონტროლებდა, ხოლო უცხო სახელმწიფოების დაზვერვა საკმაოდ თავისუფლად მოქმედებდა, მათ შორის დეზინფორმაციის გავრცელებისა და პროპაგანდის განხორციელების თვალსაზრისით. შესაბამისად, მთავრობა არ აღასრულებდა სახელმწიფოს პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას - სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკური და სამხედრო სტაბილურობაზე მოქმედი იდენტიფიცირებული საფრთხის ნეიტრალიზაცია / რისკის ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიმართულებით.

კვლევის მიზანია დავადგინოთ 1919-1920 წლებში საქართველოში გამომავალი პრესის როლი, როგორც პოლიტიკური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელების წყარო. შესწავლის ობიექტებად შერჩეულია საკვლევ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე გამომავალი ინგლისურენოვანი გაზეთი „ზე ჯორჯიან მეილი“„The Georgian Mail“. ქართულენოვანი გაზეთები („საქართველოს მთავრობა“, „საქართველო“, „ერთობა“, „სახალხო საქმე“).

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ურთიერთობების, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის შესწავლით დაკავებული მკვლევრებისათვის, საგარეო, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყებებისათვის, მასმედიის წამომადგენლებისათვის და ფართო საზოგადეობისათვის.

საკვანძო სიტყვები: ბეჭდური პრესა, დაზვერვა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ინგლისი, „ზე ჯორჯიამ მეილი“.

The Intelligence Impact of the Newspapers at «Georgia Mail» and "The Trans-Caucasian Post" on the Political and Military Security of the Democratic Republic of Georgia

Bakari Grdzelishvili
PhD student in political science at Caucasus International University
bakari.grdzelishvili@ciu.edu.ge
ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0006-7266-9557

David Kukhalashvili
Associate Professor of Caucasus International University
kukhalashvili2390@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0006-8249-296X

Abstract

The press has been and continues to be a key instrument for the implementation of «soft power». One of the primary objectives of intelligence operations, apart from the acquisition of information, is the dissemination of misinformation and propaganda. This practice, which was initially employed through printed media in the early 20th century, posed a significant threat. Governments responded by implementing measures to combat this threat, including the closure of newspapers and censorship within the country. Propaganda efforts were then directed towards audiences, serving the interests of specific parties.

In the case of the Democratic Republic of Georgia, there is virtually no government censorship. This situation occurred since the country was unable to administratively control certain regions, such as Adjara and Meskhetia, which allowed foreign intelligence services to operate freely, including disseminating disinformation and engaging in propaganda activities.

The objective of our research is to examine the role of the press(«The Georgian Mail») in Georgia during the period from 1919 to 1921 as a tool for political propaganda and the dissemination of false information. To confirm our position, we selected Georgian-language newspapers («Government of Georgia», «Georgia», «Unity», «The People's Cause»).

The findings of this research have significant implications for the development of textbooks on international relations and historical studies.

Keywords: Print press, Intelligence, Democratic Republic of Georgia, "The Georgian mail".

შესავალი

პირველი მსოფლიო ომის დასრულებას მოჰყვა საერთაშორისო ვითარების ცვლილება, რამაც, თავის მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ორიენტაციის ცვლილება განაპირობა. საქართველოში, გერმანია ინგლისმა ჩაანაცვლა.

პროინგლისური განწყობების მობილიზებისათვის პრესის მეშვეობით ინგლისელებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სადაზვერვო პროპაგანდა უნდა ეწარმოებინათ. აღნიშნული მიზნის აღსრულებისათვის თბილისში გამოდიოდა ორი ინგლისურენოვანი გაზეთი: „ზე ტრანსკავკაზიან პოსტი“, „ზე ჯორჯიან მეილი“, რომლებმაც თავის თავზე იტვირთეს ხსენებული პროპაგანდის წარმატებული წარმოება. ამ ტიპის პროპაგანდის მიზანი გაზეთი „ზე ჯორჯიან მეილისათვის“ იყო საქართველოში ინგლისური გავლენის გაზრდა და ინგლისთან საქართველოს უფრო მჭიდრო დამოკიდებულების ორგანიზება. ამასთან ერთად სახეზე იყო სადაზვერვო მიზნის, საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობის პროინგლისური განწყობის მიღწევის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რაც საქართველოზე დომინირებისათვის მებრძოლი უცხო სახელმწიფოების ზეგავლენის შესუსტებასაც ემსახურებოდა.

„ზე ტრანსკავკაზიან პოსტი“

1919-1920 წლებში თბილისში გამოდიოდა ორკვირეული „ზე ტრანსკავკაზიან პოსტი“, რომლის რედაქტორი და გამომცემელი ს. მელიქიანი იყო. გაზეთი აწარმოებდა ანტიქართულ დემაგოგიას და აშკარა დისკრედიტაციას უწევდა საქართველოს მთავრობას და საზოგადოებას უცხოელთა თვალში. აღნიშნული ქმედება უცხო ქვეყნების სადაზვერვო მიზნების ხელშეწყობის ნიშნებს შეიცავდა. არ უნდა გამოირიცხოს, რომ ამ პერიოდში მელიქიანის, დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მტრულ დამოკიდებულებაში მყოფი, ეთნიკურად მონათესავე სახელმწიფოს, სომხეთთან, აგრეთვე ინგლისთან აქტიური თანამშრომლობა ხდებოდა, რადგან მისი მოქმედებები სომხეთისა და ინგლისის სტრატეგიულ ინტერესებს ემთხვეოდა. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონტროლის მიზნით განხორციელებული ქმედებები ხელისუფლებისა და საზოგადოების დემორალიზაციისა და კომპრომეტირებისთვის იყო მიმართული.

ამ მოსაზრების გასამყარებლად მნიშვნელოვანია მოვიშველიოთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თბილისში გამომავალი ინგლისურენოვანი გაზეთის „ზე ტრანსკავკაზიან პოსტი“

შთაგონება მთლიანად სომხურ-დაშნაკური იყო და ამბობდა იმას, რაც არა ერთხელ უთქვამთ სომხებს, რუსულ და სომხურ გაზეთებში. მათი მასალები იმ ინგლისელი მკითხველის თვალის ახვევა იყო, რომლის „გასანათებლადაც“ იღვწოდნენ „სოლოლაკელი ჯენტლმენები“.[23]

უნდა აღინიშნოს, რომ „ზე ტრანსკავკაზიან პოსტი“ იყო გაზეთი, რომელიც ემსახურებოდა ინგლისურ და სომხურ ინტერესებს არა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიაში. ამ მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება აღნიშნული გაზეთის მთავარ გვერდზე ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრის გამონათქვამი: „ემსახურო სომხეთს, ნიშნავს ემსახურო ცივილიზაციას - გლადსტონი“.[24]

გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს, თბილისში გამომავალ გაზეთის „ზე ტრანსკავკაზიან პოსტი“ პირველ ნომერში, მთავარი რედაქტორის მიერ დაწერილი სტატია, სათაურით „გულწრფელი მისალმება“, სადაც გაზეთი აღტაცებით საუბრობს ინგლისელების შემოსვლაზე სამხრეთ კავკასიაში: „ეს გაზეთის პუბლიკაცია არის ჩვენი სამადლობელი დიდი ბრიტანეთის ხალხსადმი, „სომხეთი უგზავნის, თავის ყველაზე საიმედო მოკავშირეს, გულწრფელ სურვილებს“.[25]

საქართველოს და აზერბაიჯანის კომპრომეტაციის უზრუნველსაყოფად, ინგლისისა და სომხეთის ინტერესების თანხვედრაზე მიანიშნებს 1919 წლის 28 თებერვალს სტატია სახელწოდებით: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია“, რომელშიც გამოხატულია 1918 წელს სამხრეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები და თურქეთ-გერმანიის ალიანსის შესახებ. გაზეთი ხაზგასმით აღინიშნავდა, რომ „საქართველო და აზერბაიჯანი მაშინვე დანებდნენ თურქეთსა და გერმანიას, მაგრამ სომხეთი, სასოწარკვეთილიც კი, აგრძელებს ბრძოლას თურქეთთან“.[26] სტატია სადაზვერვო პროპაგანდისა და ამავე მიმართულებით კომპრომეტაციის ნიშნებს შეიცავს.

1919 წელს გაზეთის „ზე ტრანსკავკაზიან პოსტი“ მე-7 ნომერში გამოვიდა სტატია, რომლის მიხედვით, პარიზის სამშვიდობო კონფერენციას სასწრაფოდ უნდა გადაეჭრა „თავისუფალი და დამოუკიდებელი სომხეთის“ საკითხი „ექვს თურქულ პროვინციაში“ სომეხი ხალხის დაბრუნებასთან დაკავშირებით.[27] განსაკუთრებით

[23] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №46
[24] გაზეთი “The Trans-Caucasian Post”, 1919, №1
[25] აქვე.
[26] გაზეთი “The Trans-Caucasian Post”, 1919, №3
[27] გაზეთი “The Trans-Caucasian Post”, 1919, №7

ხაზგასმულია მომდევნო ნომერში რედაქტორის მოსაზრება მასზედ, რომ სომხებს ეკუთვნოდათ არამარტო ზემოთხსენებული რეგიონები, არამედ კილიკია და საქართველოს „სომხური პროვინციები“.[28] რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმ პერიოდისათვის ინგლისისა და სომხეთის საერთო სტრატეგიული, მათ შორის, სადაზვერვო ინტერესების თანხვედრაზე.

1919 წლის მანძილზე გაზეთის „ზე ტრანსკავკაზიან პოსტი“ 25 ნომერი გამოვიდა. გაზეთი „ზე ტრანსკავკაზიან პოსტი“ აქტიურად ეწეოდა ინგლისის ინტერესების შესაბამის პროპაგანდას, რომელიც პოლიტიკური დაზვერვის ნიშნებს შეიცავდა. თბილისის მუნიციპალური არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, გამოვიდა სტატია „თბილისის არჩევნები“, სადაც გაზეთი წერს, რომ 1917 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 150 ათასმა კაცმა, 1919 წლის არჩევნებში კი მხოლოდ 70 ათასმა. დასკვნაში გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს ყოველივე გამოწვეული იყო სომხების არჩევნებზე არდაშვებით და იქვე დასძენს, რომ რუსეთის იმპერიის დროს უფრო დემოკრატიული არჩევნები ტარდებოდა.

უნდა აღნიშნოს, რომ ცილისმწამებლური სტატიის ავტორს უპასუხა „ზე ჯორჯიან მესენჯერ“-მა: „ავტორი, უბრალოდ ტყუის, რადგან ამომრჩეველთა კლებას სხვა მიზეზები ახლდა“.[29] რედაქცია წერდა, რომ 1917 წელს საქართველო რუსეთის გუბერნია იყო და აქ 30 ათასამდე სამხედრო იყო განლაგებული, რომლებიც საარჩევნო უფლებებით სარგებლობდნენ. ამ ციფრებს უნდა დავუმატოთ რუსული გარნიზონის მომსახურე პერსონალი და დევნილები, რომლებიც 1917 წელს, თურქული გენოციდის დროს, ჩამოვიდნენ საქართველოში და 1919 წელს სომხეთში გადასახლდნენ. გამოდის, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას – პასუხს საქართველოს პოლიტიკური უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სადაზვერვო, ისე კონტრსადაზვერვო პროპაგანდის საწარმოებლად.

„ზე ჯორჯიან მეილი“

მეორე ყოველკვირეული გაზეთი „ზე ჯორჯიან მეილი“ 1919 წლის აგვისტოდან 1920 წლის ივნისამდე საქართველოში გამოდიოდა. მისი ძირითადი მიზანი იყო ინგლისის პოლიტიკის გაშუქება ახლო აღმოსავლეთში. გაზეთი ასევე აშუქებდა ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. გაზეთს რედაქტორობდა კავკასიაში ინგლისის პრესბიუროს თანამშრომელი, ინგლისის არმიის ოფიცერი- სკოტლანდ ლიდელი. მას არცერთი ქართველი თანამშრომელი არ ჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი

[28] გაზეთი “The Trans-Caucasian Post”, 1919, №8
[29] გაზეთი „The Georgian messenger”, 1919, №2

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური ორგანო იყო. სახეზე იყო სადაზვერვო საქმიანობის წარმოებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპის - მყარი კონსპირაციის დაცვის ნიშნების შემცველი ქმედება. შესაბამისად, ალბათობის მაღალი ხარისხით, გაზეთს ინგლისის სადაზვერვო ინტერესები გაჰქონდა.

უნდა ითქვას, რომ გაზეთი ძირითადად აშუქებდა ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და მკითხველს აცნობდა საქართველოს შესახებ ინფორმაციას, რომელიც ცალკე რუბრიკად, საერთო სათაურით ,,Editorial", მხოლოდ მე-4 გვერდზე ქვეყნდებოდა.

1919 წლის 27 აგვისტოს ნომერში „ზე გეორგიან მეილი“ დაწვრილებით აღწერს ამერიკელი პოლკოვნიკ უილიამ ჰასკელის თბილისში ჩამოსვლას, რაც ამიერკავკასიაში საზავო დელეგაციის მეთაურთა გადაწყვეტილებით მოხდა. მასში მითითებულია, რომ ჰასკელის ძირითადი მისიაა პარიზის კონფერენციისთვის მოამზადოს ანგარიში ამიერკავკასიაში არსებული სამხედრო მდგომარეობის შესახებ. ეს არის საზავო კონფერენციის მხრიდან ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან დაახლოების პირველი მცდელობა. „ბრიტანეთის მანდატმა მოახდინა სასწაული - შეძლო შეენარჩუნებინა მშვიდობა ამ მხარეში და უსამართლობა იქნებოდა ამოცანის მთელი სიმძიმე ამიერიდან მხოლოდ ბრიტანეთისათვის დაეკისრებინათ“[30]. სადაზვერვო პროპაგანდის ფარგლებში, ამ განცხადების ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას რეგიონში აშშ-ის შემოსვლა წარმოადგენდა. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ „ყველა ქართველს ამჟამად აწუხებს ინგლისელთა მოახლოებული გამგზავრება. ყველა ძველი გაუგებრობა გაფანტულია მთავრობის მეოხებით, რომელმაც დახურა ის გაზეთები, რომელიც ანტიბრიტანულ პოლიტიკას ატარებდა. ბევრი პროვოკატორი გააჩუმეს. აგიტატორები ყველა საშუალებით ცდილობდნენ გათიშვის თესლის ჩათესვას – გერმანული პროპაგანდის დანატოვარს. ახლა ყველაფერი გამოსწორებულია. ადამიანებმა სწორი შეფასება მისცეს ინგლისელთა საქმიანობას ამიერკავკასიაში. ადამიანებმა სწორი შეფასება მისცეს ინგლისელთა საქმიანობას ამიერკავკასიაში. ინგლისელი ჯარისკაცი და მისი სამაგალითო საქციელი იქცა საყოველთაო აღფრთოვანების საგნად და ხალხი ნამდვილად გულდაწყვეტილია ინგლისელთა წასვლის მოახლოებით“[31]. პრაქტიკულად, სახეზე იყო საქართველოს ხელისუფლებასა და საზოგადოებაზე ინგლისელთა მიმართ კეთილგანწყობის

[30] პ. სურგულაძე, „გაზეთები „The Georgian Messenger” და „The Georgian Maill“, როგორც წყარო ინგლისური პოლიტიკის გარკვევისთვის ამიერკავკასში და ახლო აღმოსავლეთში 1919-1920 წლებში“, 1982, №227

[31] გაზეთი „The Georgian Mail”, 1919, №4.

მობილიზების მცდელობა, რაც სადაზვერვო ზეგავლენის გარდა, ამავე მიმართულების შეღწევადობის ხელშემწყობსაც წარმოადგენდა. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა იმ ფონზე, როდესაც ინგლისისთვის ცნობილი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოსალოდნელი სამხედრო აგრესიის შესახებ ინფორმაცია. საქართველოს ხელისუფლების თხოვნის მიუხედავად, რომ საჯარისო ნაწილების გაყვანა არ განხორციელებულიყო, ინგლისელებმა მაინც დატოვეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები. ყოველივე ეს საქართველოს ინტერესების საზიანოდ საბჭოთა რუსეთის ინტერესების გატარებაზე ხელშეწყობის ნიშნებს შეიცავდა. გამოდის, რომ სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში ინგლისმა „გაყიდა“ საქართველოს ინტერესები, რომლის დასაცავადაც „სტრატეგიული პარტნიორობის“ პირველ ეტაპზე ზემოაღნიშნული გაზეთი მოღვაწეობდა კიდეც.

გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა პუბლიკაციები იმის შესახებ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობამ და ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტონ, ვის დაუკავშირონ მომავალი, თუმცა ინგლისის დახმარების გარეშე მათ გაუჭირდებათ შემდგომი არსებობის შენარჩუნება. გაზეთის მე-3 ნომერში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში “Will the British go?” ვკითხულობთ: „აფორიაქებული დღეებია. ყველას ერთი კითხვა აღელვებს - „წავლენ ინგლისელები?“ „შეუძლებელია“,- თქვა ერთმა ქუჩაში გამვლელმა. მას არ სჯერა, რომ ბრიტანელები ევაკუაციას დაიწყებენ. ისინი დარჩებიან, ამბობს იგი იმედიანად, რადგან ხვდება, რომ ამიერკავკასიას მეტად შავი დღე დაუდგება, თუ ბრიტანელები წავლენ და დატოვებენ ქვეყანას შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში“.[32] შეიძლება დავასკვნათ, რომ სადაზვერვო პროპაგანდის ფარგლებში ფიქსირდებოდა დემორალიზაციის მაინსპირირებელი ინფორმაციის გავრცელება პრესის მეშვეობით, რომლის ობიექტები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება და საზოგადოება იყო.

1919 წლის გაზეთის მე-4 ნომერში გამოქვეყნდა სტატია „Lenin’s Bloody Despotism“, რომელიც მკითხველს 1917 წლის რევოლუციის შემდგომ პეტროგრადში შექმნილ მდგომარეობაზე მოუთხრობდა. სტატია გადმობეჭდილი იყო „თაიმსიდან“. კორესპონდენტი აღწერდა რევოლუციით გამოწვეულ ქაოსს, სადაც სიკვდილი და ტერორი მეფობდა. „ბოლშევიზმის საშინელების“ აღწერის შემდეგ სტატიის ავტორი აცხადებს: „საქართველოს არ ჭირდება ბოლშევიზმი, საქართველოში არასდროს არ იქნება, ისეთი უკიდურესი არეულობა და ქაოსი, როგორიც დღეს რუსეთშია“.[33] მსგავსი

[32] გაზეთი „The Georgian Mail”, 1920, №2.
[33] გაზეთი „The Georgian Mail”, 1919, №4.

ტონით არის დაწერილი სტატიები „The Truth about Bolshevism“, სადაც ყურადღება გამახვილებულია ებრაელთა მდგომარეობაზე რუსეთში რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ. ასევე, „Unimaginable Bolshevik Horrors“, სადაც აღწერილია მოსახლეობის მიმართ ბოლშევიკების მიერ კიევში ჩატარებული ტერორისტული ქმედებები. ამავე თემას ეხება სტატიები „Robbery and Terror in Odessa“, „Bolshevik Horrors“ და სხვ. ყველა მითითებულ შემთხვევაში ინგლისის ინტერესს წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთის კომპრომეტაცია და დისკრედიტაცია, რათა საქართველოში საკუთარი გავლენა გაეძლიერებინა. შესაბამისად, სახეზე იყო სადაზვერვო პროპაგანდის ნიშნები.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი ევროპული სახელმწიფოების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ინგლისური გაზეთი დიდი აღტაცებით გამოეხმაურა. 1920 წლის იანვრის ნომრები სავსეა ინგლისის ქება-დიდებით, განსაკუთრებით განდიდებულია ლორდ კერზონის პერსონა, რომელმაც პირველმა შეიტანა წინადადება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე, ამ ფაქტს გაზეთი ხსნის ლორდ კერზონის „განსაკუთრებული სიყვარულით“ საქართველოსადმი.[34] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისმა საქართველო 1921 წლის 27 იანვარს, არსებული ხელისუფლებისა და წესწყობილების ძალადობრივ დამხობამდე რამდენიმე თვით ადრე დატოვა. ყოველივე ეს ადასტურებს იმ გარემოებას, რომ დიდი ბრიტანეთი პოლიტიკური ხასიათის „ვაჭრობას“ ახორციელებდა საბჭოთა რუსეთთან. ობიექტური რეალობისა და საკუთარი სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით, დიდი ბრიტანეთი საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. ამგვარი დამოკიდებულება კი სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა.

საყურადღებოა ამავე გაზეთის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიში ინგლისის რწმუნებულის ო. უორდროპის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის ნ.ჟორდანიასადმი და საგარეო საქმეთა მინისტრის ე.გეგეჭკორისადმი. „ეს დიადი დღეა“[35] - ასეთი რუბრიკით გაზეთი მოკავშირეთა პროპაგანდას ეწეოდა. „რედაქტორის კუთხეში“ მოცემულია ამ ფაქტების კომენტარი. სკოტლანდ ლიდელი „თავისუფალი საქართველოს“ მომავალს წარმტაცად ხატავდა და არ ივიწყებდა ხაზი გაესვა ინგლისელთა განსაკუთრებული დამსახურებისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაში. სახეზე იყო დიდი ბრიტანეთისადმი კეთილგანწყობის მაინსპირირებელი პროპაგანდა.

[34] ლისმანი, „ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა“, 1947, გვ.201
[35] გაზეთი „The Georgian Mail” 1920, №25.

„ზე ჯორჯიან მეილ“-ის 1920 წლის 12 მაისის ნომერში საუბარია ბოლშევიკური რუსეთის და საქართველოს საზავო ხელშეკრულებაზე. გაზეთის აზრით, ყოველივე იმის შედეგი იყო, რომ საქართველოს ჰყავდა დასავლეთის, პირველ რიგში, ინგლისის სახით „საიმედო მფარველი“ და „მოკავშირე“[36]. გაზეთის 16 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც შემდეგ მოსდევს რედაქტორის ლიდელის კომენტარი: „ევროპა ყოველთვის უნდა იყოს საქართველოს დამცველი, ევროპა კი ამისთვის ინგლისია“[37]. უნდა აღინიშნოს აღნიშნული სტატია პროინგლისური განწყობის მობილიზება-გაფართოების ხელშემწყობი იყო.

ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ გააქტიურა რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო სადაზვერვო შესაძლებლობები, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაში. საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. შესაბამისად, ინგლისი აღქმული უნდა იქნას, როგორც ამ დამაზიანებელი პროცესის მონაწილე. გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება, ამ პერიოდისათვის ინგლისის მაღალი ზეგავლენის შესაძლებლობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაზე. გამოდის რომ, ინგლისი საბჭოთა რუსეთის ინტერესების გამტარებელ მნიშვნელოვან იარაღად იქცა/აქციეს.

პრო-ინგლისური განწყობების ფონზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესების საზიანოდ 1919 წელს ბრიტანელები იწყებენ საქართველოს დატოვებას, ხოლო 1920 წლის თებერვალში კი, ტოვებენ აჭარასაც.

ინგლისელთა საზიანო ქმედებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. (ქართული პრესის მიმოხილვა)

გაზეთი „სახალხო საქმეში“ სტატიაში „ისინი და ესენი“ გერმანელები და ინგლისელები ერთმანეთთან არიან შედარებული და ფიქსირდება, რომ: „ეს მეორე სტუმარია ჩვენში. ვინ იყვნენ ისინი და ვინ არიან ესენი? ისინი მძიმე ავადმყოფთან ფრთხილად მოვიდნენ და ფეხაკრეფით დადიოდნენ მისი სარეცლის ახლოს. ისინი მოვიდნენ ძლევამოსილნი, მაგრამ რაინდნი. მას შემდეგ საქართველო მომჯობინდა, საკუთარი გზით იწყო სიარული. აი, ამ დროს მოდიან სხვები. ესენი ზარით, ღრიანცელით და აუტანელი ხმაურით იჭრებიან ჩვენს ოჯახში. ყოველი მათი ნაბიჯი სტოვებს რუსის სალდათის ჩექმების სიმყრალეს და მისი დალურსმული ქუსლების

[36] გაზეთი „The Georgian Mail” 1920, №41.
[37] გაზეთი „The Georgian Mail” 1920, №46.

სიმძიმეს. ზიზღს იწვევს ამნაირი ყიჟინა ჩვენში და არა მოკრძალებას“.[38] სახეზე იყო ქართული პრესის და საზოგადოების უარყოფითი განწყობები დიდი ბრიტანეთისადმი.

გაზეთი „ერთობის“ 1919 წლის მე-4 ნომერში განთავსებული სტატიის მიხედვით, 1918 წლის დეკემბერში ინგლისელებმა საქართველოს ნავსადგურში მყოფი ყველა გემისა და ამწის დათვალიერების უფლება მოითხოვეს, მოახდინეს საზღვაო ძალების აღწერა და პორტის ფუნქციონირებაზე კონტროლი დააწესეს.[39] გაზეთში „სახალხო საქმე“ 1919 წელს გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით კი, ინგლისის სამხედრო გემების უფროსმა ფოთის ნავსადგურის უფროსს, ბატონ დვალს და გარნიზონის უფროსს, პოლკოვნიკ ჩხეიძეს მოსთხოვა ნაღმოსნისა და ამწის ინგლისელებისთვის გადაცემა და განუცხადა, რომ მას შეეძლო მათი გამოყენება მაშინ, როცა ეს მისთვის საჭირო იქნებოდა.[40]პრაქტიკულად ინგლისმა ამ ქმედებებით აღასრულა საკუთარი სამხედრო დაზვერვის ინტერესი, საქართველოს სამხედრო ინტერესების საწინააღმდეგოდ. ინგლისმა მოიპოვა საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების დაზიანების ინტერესის შემთხვევაში მნიშვნელოვანი სადაზვერვო მონაცემები.

რაც შეეხება გაზეთის „სახალხო საქმე“ 1919 წლის 14 იანვრის ნომერს, მასში საუბარია ინგლისის ჯარის მიერ ფოთში მუშათა პროფესიონალური კავშირის თავიანთი დაწესებულებიდან გაყრის და ინგლისელი ჯარისკაცების მიერ მათი შენობის დაკავების ფაქტის შესახებ.[41] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ კი მკითხველს აუწყებდა ინგლისელების მიერ ზესტაფონის სადგურის უფროსის დაპატიმრებას, ამ უკანასკნელის ღირსების და საქართველოს სახელმწიფოს შეურაცხყოფის შესახებ.[42] სახეზე იყო დაუცველობის გამო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისადმი, ხოლო მასპინძელი სახელმწიფოს უპატივცემულობის გამო სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოსადმი უარყოფითი განწყობის მაინსპირირებელი ქმედებები.

გაზეთი „საქართველო“ წერდა იმას, რომ ბრიტანეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში უფრო ზნეობრივ ფაქტორზე იყო დამყარებული, ვიდრე მილიტარულზე. მართალია, მათი რაზმები სწორედ საქართველოს სასაზღვრო სარტყელში იყო განლაგებული, მაგრამ თვით საქართველოს საზღვრების დაცვა არ შეადგენდა დიდი

[38] გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919, №422
[39] გაზეთი „ერთობა“, 1919, №4
[40] გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919, №425
[41] გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919, №430
[42] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №7

ბრიტანეთის საექსპედიციო ჯარის მისიას.[43] პრაქტიკულად, ინგლისელთა ქმედებები საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან რისკებს შეიცავდა, რომლებსაც საფრთხედ ქცევის პერსპექტივა გააჩნდა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის.

გამოდის, რომ უცხო ქვეყნის ინტერესების გამომხატველი, სადაზვერვო პროპაგანდის განმახორციელებელი ინგლისურენოვანი პრესის საწინააღმდეგოდ, ზემოჩამოთვლილი ქართული გაზეთები სახელმწიფოსთვის კონტრსადაზვერვო ხასიათის ქმედებებს ემსახურებოდა, რომლის მიზანი უცხო ქვეყნის მიერ განხორციელებული სადაზვერვო პროპაგანდის ნეიტრალიზება/ზემოქმედების რისკის მინიმუმამდე შემცირება იყო.

დასკვნა

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამომავალი ინგლისურენოვანი გაზეთი „ზე ჯორჯიან მეილის“ საქმიანობაში ფიქსირდება დიდი ბრიტანეთის ინტერესების შესაბამისი სადაზვერვო საქმიანობის ნიშნები. ამ გაზეთის საქმიანობაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია:
   - ☞ კონსპირაცია (ქართული სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი გაზეთის რედაქტორისა და თანამშრომლების მზვერავი ქვეყნის ეთნიკური ნიშნით კომპლექტაცია, სადაზვერვო მიზნებისა და ამოცანების უსაფრთხოდ გადასაწყვეტად);
   - ☞ სადაზვერვო პროპაგანდის წარმოება, როგორც საქართველოს ხელისუფლების და საზოგადოების პრობრიტანული განწყობის ჩამოყალიბების, ასევე ამავე ობიექტების დემორალიზაციის მიმართულებით;
   - ☞ სადაზვერვო კომპრომეტაცია დისკრედიტაცია (საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე კონტროლისათვის დომინირებისათვის მებრძოლი სახელმწიფოს წინააღმდეგ);
2. ინგლისურენოვანი გაზეთი „ზე ჯორჯიან მეილის“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საწინააღმდეგო საქმიანობა, ქართული სახელმწიფოს ფინანსური უზრუნველყოფის ფონზე ქართული კონტრდაზვერვის უსუსურობაზე და ხელისუფლების მაღალ იერარქიაზე დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო შეღწევადობის ნიშნებს შეიცავს;

[43] გაზეთი “საქართველო”, 1919, №40

3. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამომავალი გაზეთები – „საქართველოს მთავრობა“, „საქართველო“, „ერთობა“, „სახალხო საქმე“ – სადაზვერვო პროპაგანდის განმახორციელებელი ინგლისურენოვანი პრესის საწინააღმდეგოდ, საკუთარი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ კონტრსადაზვერვო ფუნქციას ასრულებდა. ეს გაზეთები აფიქსირებდნენ ინფორმაციებს ინგლისელთა მიერ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ, რისი მიზანიც უცხო ქვეყნის სადაზვერვო პროპაგანდის ნეიტრალიზება და მისი ზემოქმედების რისკის მინიმუმამდე შემცირება იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

გაზეთი „The Georgian Mail” 1920, №2.

გაზეთი „The Georgian Mail” 1920, №25.

გაზეთი „The Georgian Mail” 1919, №4.

გაზეთი „The Georgian Mail” 1919, №4.

გაზეთი „The Georgian Mail” 1920, №41.

გაზეთი „The Georgian Mail” 1920, №46.

გაზეთი „The Georgian messenger”, 1919, №2

გაზეთი “The Trans-Caucasian Post”, 1919, №1

გაზეთი “The Trans-Caucasian Post”, 1919, №3

გაზეთი “The Trans-Caucasian Post”, 1919, №7

გაზეთი “The Trans-Caucasian Post”, 1919, №8

გაზეთი „ერთობა“, 1919, №4

გაზეთი “საქართველო”, 1919, №40

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №46

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №7

გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919, №422

გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919, №425

გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919, №430

ლისმანი უ., „ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა“, 1947, გვ.201

სურგულაძე პ., „გაზეთები „The Georgian Messenger” და „The Georgian Maill“, როგორც წყარო ინგლისური პოლიტიკის გარკვევისთვის ამიერკავკასში და ახლო აღმოსავლეთში 1919-1920 წლებში“, 1982, №227